ცვლილება №3584-130507

№3584-130419 პროგრამის „SuperFin 6“ შესახებ ხელშეკრულებაში

დადებულია 07/05/2013

ერთი მხრივ – **შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"**, (შემდგომში შემსრულებელი), მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ეკა გელაშვილის, და მეორეს მხრივ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის სერვისცენტრი“** (შემდგომში დამკვეთი), _____ სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 19/04/2013 თარიღში დადებული პროგრამის **„SuperFin 6“** შესახებ №3584-130419 ხელშეკრულების საგანში მითითებული პროდუქტების რაოდენობას დაემატოს **"SuperFin 6"** ქსელური ორ მომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროდუქტი, რომელთა გამოყენების საფუძველზეც დამკვეთს ექნება შესაძლებლობა:

- დააინსტალიროს პროგრამა **„SuperFin 6“**საკუთარ კომპიუტერებზე.
- ინტერეტის გამოყენებით შემსრულებლის სერვერიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, სისტემატიურად განაახლოს შესაბამისი პროგრამა **„SuperFin 6“**.

1.2 მხარეთა შეთანხმებით ცვლილებები შედის 19/04/2013 თარიღში დადებულ, პროგრამის **„SuperFin 6“** შესახებ №3584-130419 ხელშეკრულებაში.

2. ცვლილება

2.1 გაუქმდეს 19/04/2013 თარიღში დადებული პროგრამის **„SuperFin 6“** შესახებ №3584-130419 ხელშეკრულების 4 პუნქტის ყველა ქვეპუნქტი.

2.2 19/04/2013 თარიღში დადებული პროგრამის **„SuperFin 6“** შესახებ №3584-130419 ხელშეკრულებაში 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- დამატებული **"SuperFin 6"** ქსელური ორ მომხმარებლიანი ვერსიის პროგრამის ღირებულება შეადგენს 1490 (ათასოთხასოთხმოცდათ) ლარს და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 07/05/2014 თარიღამდე. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.3 იმავე ხელშეკრულებაში 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება პროგრამულ პროდუქტ(ებ)ზე **"SuperFin 6"** ქსელური ორ მომხმარებლიანი ვერსიისათვის განისაზღვრება 58 (ორმოცდათვრამეტი) ლარით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

2.4 იმავე ხელშეკრულებაში **4.3** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- დამკვეთის მიერ **4.1** პუნქტში მითითებული ღირებულების დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი საბანკო დღის მანძილზე.

2.5 იმავე ხელშეკრულებაში **4.4** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარ (კვარტალურად) მომსახურების მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. შემსრულებლისა და დამკვეთის ვალდებულებები

3.1 დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს 19/04/2013 თარიღში დადებული ხელშეკრულების მიხედვით წარმოქმნილი ფინანსური დავალიანება.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს 19/04/2013 თარიღში დადებული ხელშეკრულების მიხედვით დამკვეთის მიერ წინასწარ გადახდილი მომსახურება.

4. სხვა დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელისმოწერის დღიდან.

4.2 19/04/2013 თარიღში დადებული პროგრამის **„SuperFin 6“** შესახებ №3584-130419 ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც არ იცვლებიან წინამდებარე ხელშეკრულებით, რჩება ძალაში.

4.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლიარად.

5. მხარეთა რეკვიზიტები

5.1 დამკვეთი:

_____

_____

_____

5.2 შემსრულებელი:

შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"

იურიდიული მისამართი:

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

0159, თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვარტალი, 1 ბ კორპუსი, ბინა 86

საბანკო მონაცემები:

ს/ს "თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22 ა/ა GE41TB0600000027467795

დამკვეთი

ბ. ა.

შემსრულებელი

ბ. ა.

დამკვეთი _____

შემსრულებელი _____